ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1885160

ნომერი: AR1305104

თარიღი : 28.04.2015

გაცემის თარიღი : 08.05.2015

გაცნობის თარიღი : 09.05.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სანაპირო , N8ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ვადაქარია პ/ნ 42001011168
- თბილისი ძმ.კაკაბაძეების ქ. N 19

ორგანიზაცია:

- შპს დაიკინ ჯორჯია კოდი: 404484170

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ

თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

საკითხის შესწავლისას სამსახურის მიერ თქვენს მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში კვლავ გამოვლენილი იქნა ხარვეზი, კერძოდ:
– არქიტექტურის სამსახურში შემოსულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 06.05.2015 წლის N07/5895–13 წერილი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სანაპიროს ქ. N8–ში (ს/კ 01.15.03.004.001) მდებარე შენობის კანონიერების საკითხს. აღნიშნულ წერილზე თანდართულია ობიექტის ადგილზე შემოწმების შედეგების შესახებ სამსახურის სპეციალისტის მიერ მომზადებული ცნობა და გეოდეზიური აზომვა. ცნობისა და აზომვის შესაბამისად შენობის ნაწილი, კიბე და ბაქანი გადაცდენილია საკადასტრო საზღვრებს. მოგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობის 57-ე დადგენილების 66–ე მუხლის თანახმად I კლასის სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად სამსახურს უნდა მომართოს მშენებლობის მწარმოე-ბელმა/დამკვეთმა. დამკვეთი შეიძლება იყოს მესაკუთრე ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. ამავე დადგენილების მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს აქვთ სურვილი საკუთარი მიწის ნაკვეთების ტერიტორიაზე განათავსონ საერთო საკუთრების შენობა-ნაგებობა (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა), მაშინ ისინი ვალდებულნი არიან გააერთიანონ საკუთარი მიწის ნაკვეთები და დაარეგისტრირონ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. აღნიშნული არ ვრცელდება ინდივიდუალური განაშენიანების ტერიტორიებზე საზიარო კედლის მქონე საცხოვრებელი სახლის ან საერთო სარგებლობის სამეურნეო შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუშვებელია ერთი შენობა-ნაგებობის ერთზე მეტ მიწის ნაკვეთზე განთავსება. შესაბამისად, იმისათვის, რომ ქ. თბილისში, სანაპიროს ქ. N8–ში (ს/კ 01.15.03.004.001) სამსახურის მიერ გაიცეს მშენებლობის ნებართვა არსებული შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების თაობაზე. საჭიროა განხორციელდეს მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის (საკადასტრო საზღვრების) ცვლილება ისე, რომ არსებული შენობა-ნაგებობა მთლიანად ექცეოდეს მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში;
– ფოტომონტაჟზე მითითებული უნდა იქნას ზომები (თქვენს მიერ მითითებულია მხოლოდ შენობის გაბარიტული ზომები, ხოლო წარმოდგენილი ფოტომონტაჟის შესაბამისად იცვლება ფანჯრის ღიობების გაბარიტები და ხდება სარეკლამო აბრების განთავსება, შესაბამისად მითითებული უნდა იქნას აბრებისა და საპროექტო ვიტრაჟების ზომები);
გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.
აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სამსახური თქვენს განაცხადს დაჩქარებული წესით ვერ განიხილავს (დაჩქარებული მომსახურების საფასური შეგიძლიათ გაითხოვოთ, რისთვისაც სამსახურს უნდა მომართოთ შესაბამისი განცხადებით).

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.